

ინტარვიუ გერმანიის იუსტიციის მინისტრთან, ბატონ მარჩო ბუშმანთან

ორჯერ, კერძოდ, 1918 და 1991 წელს გერმანიამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა. ჩვენი ქვეყანა ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ ისწრაფვის. გერმანიის როლი, ამ თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია. რამდენად რეალურია საქართველოს ადგილი საერთო ევროპულ სივრცეში?

კულტურის თვალსაზრისით, საქართველო ცალსახად ევროპის ნაწილია. პირადად მე ვიმედოვნებ, რომ მალე ის ასევე გახდება მისი ნაწილი პოლიტიკურადაც და შეძლებს ევროკავშირში გაწევრიანებას. ევროკომისიამ მკაფიოდ ჩამოაყალიბა შესაბამისი მოთხოვნები და მოლოდინი. საქართველომ უკვე მიაღწია გარკვეულ წინსვლას. თუ როგორ გაგრძელდება ამიერიდან, პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული.

საქართველოსა და გერმანიის იუსტიციის სამინისტროები თავიანთ სფეროში მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან გაფორმებული „თანამშრომლობის პროგრამის“ ფარგლებში. რა მდგომარეობაა ახლა ამ მიმართულებით და რა სიახლეებს შეიძლება ელოდეს საზოგადოება?

დიდი სიახლეებით შევხვდი გასული წლის სექტემბერში ბერლინში ჩემს ქართველ კოლეგას რატი ბრეგაძეს. ამ შეხვედრის ერთ-ერთი შედეგი იყო 2022-2025 წლების ერთობლივი თანამშრომლობის სამუშაო პროგრამა. იმავდროულად, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სისხლის სამართალზე და განვიხილავთ თანამედროვე პენიტენციური სისტემის, პრობაციის სამსახურისა და რესოციალიზაციის საკითხებს. გარდა ამისა, იგეგმება ერთობლივი სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება კორუფციის ეფექტური პრევენციისა და მასთან ბრძოლის საკითხებზე.

არსებობს შეთანხმება ერთობლივი ქართულ-გერმანული სამართლებრივი ფორუმის შექმნის შესახებ, რომელიც მონაცვლეობით გაიმართება თბილისსა და ბერლინში. როგორ აფასებთ ამ ფორუმის პერსპექტივებს?

ერთობლივი იურიდიული ფორუმის მიზანია საქართველოსა და გერმანიას შორის სამართლებრივი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება. ამრიგად, ჩვენ გვსურს ხელი შევუწყოთ გერმანელ და ქართველ იურისტებს შორის რეგულარულ გაცვლას. ამის ჩარჩო უნდა იყოს გააზრებულად ფართო, თემატური და საკადრო.



როგორ შეაფასებდით ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობებს? როგორ შეიძლება ამ ურთიერთობების კიდევ უფრო გამდიდრება?

საქართველოსა და გერმანიას შორის ურთიერთობები მრავალი წლის განმავლობაში მჭიდრო და სანდოა. ჩვენ მომავალშიც ვიქნებით საქართველოს საიმედო პარტნიორი. ჩვენი საერთო ურთიერთობის შემდგომი განვითარებისთვის უნდა გავაგრძელოთ სამოქალაქო და საზოგადოებრივი კონტაქტების გაძლიერება გერმანიასა და საქართველოს შორის. ერთობლივი სამართლებრივი ფორუმი ამისთვის კარგი შესაძლებლობაა.